ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის, პირველი მოადგილის, გიორგი ახვლედიანის საქმიანობის წლიური ანგარიში

თბილისი

2021

სარჩევი :

1. შინაარსი.....1
2. საკრებულოს სხდომები.....2
3. ბიუროს სხდომები.....3
4. სატრანსპორტო კომისია.....4-5
5. სარევიზიო კომისია.....6
6. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.....7
7. მოქალაქეებთან შეხვედრა / დასკვნა.....8

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო წარმოადგენს ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე - „საკრებულოს რეგლამენტით“.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პირველი მოადგილე, ვმონაწილეობდი საკრებულოსა და ბიუროს სხდომებში.

კომისიებში ჩემი აქტივობები:

- ✓ სარევიზიო კომისიის წევრი;
- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრი;
- ✓ გენდერული საბჭოსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით, საკითხთა განმხილველი კომისიის წევრი.

ასევე, მონაწილეობას ვღებულობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს სხდომებში.

ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია, უზრუნველყო მოქალაქეთა მიერ შემოსული საკითხების განხილვა და მათზე მყისიერი რეაგირება. მქონდეს მუდმივი კომუნიკაცია თბილისის მოსახლეობასთან და მათთან ერთად შევძლო ქალაქის პრობლემების ძირეული აღმოფხვრა.

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 22 სხდომა.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, ავტობუსების M2 და M3 კატეგორიის რიგ მარშრუტებზე მოძრავი ერთეულების რაოდენობა იზრდება.
- დაუმთავრებელ მშენებლობების დასრულებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხები რამდენიმე სამშენებლო კომპანიასთან მიმართებაში დამტკიცდა.
- გადაჭრილ იქნა „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების მრავალწლიანი პრობლემა.
- დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ ოჯახებს, ბინები სიმბოლურ ფასად გადაეცათ საკუთრებაში.
- აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში ცვლილებები შევიდა, რის თანახმადაც, ბენეფიციართა რაოდენობა 145-ით იზრდება და ამ ეტაპისათვის 1 375-ს შეადგენს. მათ ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ კომპლექსური თერაპია.
- სხვადასხვა რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტები დამტკიცდა.
- თბილისის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა შშმ პირთათვის ქალაქის ინკლუზიური კუთხით მოწყობა-განვითარება.

ბიუროს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 25 სხდომა, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგების ჩართულობით მოხდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- "ქ. თბილისში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ";
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ";
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადამყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის, 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე";
- „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";
- „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე";
- „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის გაგრძელების თაობაზე";
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ".

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 20 სხდომა, განხილულ იქნა 60 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- „საგანმანათლებლო და სოციალური ტიპის დაწესებულებებთან სიჩქარის ზღვარის შემცირების მიმართულებით არსებული ევროპული გამოცდილების დანერგვა“;
- სატრანსპორტო კომისიის მუშაობის შედეგად, იზრდება რიგ მარშრუტებზე მოძრავი ერთეულების რაოდენობა და ემატება ახალი მარშრუტები;
- საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით შემცირდება და 1,0 ლარის ნაცლად, განისაზღვრება 0,5 ლარით. აგრეთვე, ცვლილების საფუძველზე, საბაგირო გზა „უნივერსიტეტი-ბაგები“ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩაერთვება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტო სატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის, ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03203104-03; 05.11.2020);[1]

[1] აღნიშნული ცვლილებების შედეგად, გაუმჯობესდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხი, ვინაიდან, ნებართვის მფლობელებს დაეკისრათ ვალდებულება დამტკიცებული მარშრუტებით მომსახურეობის გაწევა უზრუნველყონ მხოლოდ ,,BUS LANE’ - ების მეშვეობით (თუ მარშრუტი მოიცავს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლს „BUS LANE“, მხოლოდ ამ სპეციალური ზოლის გამოყენებით).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილების პროექტი (12-032035979-03 24.12.2020);[2]

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03203104-03; 05.11.2020);[3]

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032034578-03; 10.12.2020);[4]

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლებისა და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

---

[2] ცვლილების შედეგად, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნება გაიზარდა 1 500,0 ლარით და გახდა 54 585,4 ათასი ლარი.

[3] პროექტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩაერთვნენ შემდეგი ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტები: №408, №419, №463, №464, №476, №482 და №483.

[4] ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება განისაზღვრა 194 636,5 ათასი ლარით.

სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 17 სხდომა და განხილული იქნა 28 საკითხი.

საკითხებიდან გაგაცნობთ რამდენიმეს:

- კომისიის წევრებმა თბილისის N70 და N34 საბავშვო ბაგა-ბაღების მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 30 დეკემბრის ჩათლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების თაობაზე ინფორმაცია მოისმინეს;
- სარევიზიო კომისიის სხდომაზე, სახელმწიფო აუდიტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს და ცნობად მიიღეს;
- ააიპ „მუზეუმების გაერთიანების“ მიერ დაარსების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების თაობაზე ინფორმაცია მოვისმინეთ;
- კომისიის სამუშაო პროცესში, მიმდინარე წლის სამუშაო გეგმის დამტკიცებაზე ვიმსჯელეთ;
- წლის განმავლობაში შესამოწმებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია მოვისმინეთ.

ქვეყანაში არსებული კოვიდ-პანდემიის მიუხედავად, სარევიზიო კომისია გეგმის შესაბამისად განაგრძობს მუშაობას.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდგომში ფრაქცია) ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:
ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებლობა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დამკვიდრება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების პროგრამების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა;
- მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა და მისთ.

აქვე წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხებიდან რამდენიმეს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- ვაშლიჯვრის ფერდობზე განვითარებული მეწყრული პროცესების შესახებ;
- ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა;
- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა;
- 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და კამპანიის მიმოხილვა;
- „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის ე.წ. სამშენებლო ამნისტიის განხილვა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე განხილულ საკითხებზე ფრაქციათა პოზიციების შეჯერება.

მოქალაქეებთან შეხვედრა

მოგეხსენებათ, ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პირველი მოადგილისა და ასევე კომისიების - „სარევიზიო კომისია“ და „სატრანსპორტო საკითხთა კომისიის“ წევრის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დედაქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომისიისა თუ სამსახურების ჩართვა მუშა პროცესში და მათი მოგვარება.

მიმდინარე წლის სამუშაო პერიოდში მქონდა შეხვედრა რამდენიმე ათეულ მოქალაქესთან (სამწუხაროდ პანდემიის პირობებიდან გამომდინარე მოქალაქეებთან უშუალო სამუშაო შეხვედრები შეიკვეცა), როგორც იცით, მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი დღე. თუმცა, საჭიროების მიხედვით, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს.

გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი სამდივნო ახორციელებს მოქალაქეთა ზარების მონიტორინგს და შესაბამის შუამდგომლობას ვუწევთ თითოეულ მოქალაქეს. რაც რა საკვირველია, პანდემიის პერიოდში გვაძლევს შესაძლებლობას, მუდმივად ვიყოთ ჩართულები მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმში.

დასკვნა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი მონაწილეობის აქტივობა

- ✓ ჩატარებული საკრებულოს სხდომა -22;
- ✓ ბიუროს სხდომა - 25;
- ✓ მიღებული განკარგულება - 547 ;
- ✓ მიღებული დადგენილება - 111;
- ✓ სატრანსპორტო კომისიის სხდომა -20;
  განხილული საკითხები - 60;
- ✓ სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა - 17;
  განხილული საკითხები - 28 .

არ შემიძლია არ აღვნიშნო, მოქალაქეთა გულწრფელი ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სტაბილიზაციის საკითხში, რისთვისაც მათ ასევე გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო!